პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 ნოემბერი კვირა 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 264 (15174)

შეჯიბრება და პრესა

საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ახალი მიღწევებით აღინიშნა 1971 წლის დამამთავრებელი თვეები. ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლები, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემები გამსჭვალულია მილიონთა ბრძოლის პათოსით მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. პრესა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს იმ „მუშათა შეგნებულ და ნებაყოფლობით თაოსნობას შრომის ნაყოფიერების განვითარებაში, ...მეურნეობისა და ცხოვრების სოციალისტური პირობების შემოქმედებაში“, რომელიც, როგორც ვ. ი. ლენინმა გენიალურად განჭვრიტა, გახდა კომუნიზმის მშენებლობის მძლავრი საშუალება.

ხკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ეკონომიური და სოციალური ამოცანები განსაზღვრავენ თვისებრივად ახალ საფეხურს შეჯიბრების განვითარებაში. მისი როლი როგორც მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებისა და აღზრდის მძლავრი საშუალება განუზომლად იზრდება. დღეს შეჯიბრების მონაწილენი მთელ ძალ-ღონეს ახმარენ ბრძოლას წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე, შიდასამეურნეო რეზერვების ყოველი ღონისძიებით გამოყენებას, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას. ეს ჩვენი პრესისაგან მოითხოვს ახალ — უფრო ფართო, ანალიზურ და კონკრეტულ მიდგომას შეჯიბრების საკითხების გაშუქებისადმი, მათ შემუშავებაში სისტემატურობისადმი.

ხკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, კინოს, რადიოსა და ტელევიზიას, გამომცემლობათა ხელმძღვანელებს დაავალა მიაღწიონ, რომ პროპაგანდისა და ინფორმაციის ყველა ორგანო ზრუნვადეს წარმოების სრულყოფისათვის, ღრმად სწვდებოდეს ნოვატორთა თაოსნობის არსს, ბეჯითად, მებრძოლურად უჭერდეს მათ მხარს და ავრცელებდეს, აქტიურად ებრძოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვისათვის. პარტია პრესის მუშაკებს მოუწოდებს უფრო სრულად გააშუქონ შრომისა და მეურნეობის მართვის მოწინავე მეთოდების შინაარსი, უჩვენონ შეჯიბრების სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა, ფართოდ გააცნონ მისი მსვლელობა და შედეგები, თანმიმდევრულად ებრძოლონ ყველა უბანზე საქმის გაუმჯობესებისათვის.

ხკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებანი ჩვენი პრესის ყველა ორგანომ აღიქვა როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა. უთმობს რა ყურადღებას ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, ყველა გაზეთი თვალსაჩინოდ და მკაფიოდ უჩვენებს მასების მზარდ ინიციატივას. საქართველოს რესპუბლიკურმა გაზეთმა „ზარია ვოსტოკა“ მთელ რიგ საინტერესო მასალებში საწარმოებიდან შთამბეჭდავად ასახა მუშათა კოლექტიური აზრის მოზღვავება, რომელიც ბაზად ესახავს შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის, ყოველ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის შეჯიბრებაში ჩაბმული მოწინავე მშრომელების წარმატებებს კარგ პროპაგანდას უწევს „მოსკოვსკაია პრავდა“. გაზეთებში „ტრუდი“, „სოციალისტიჩესკი დონბასი“, „სოვეტსკაია ბელორუსია“, ზოგიერთ სატელევიზიო და რადიოგადაცემაში მიმდინარეობს შინაარსიანი საუბარი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზებზე, წარმოებს მოწინავეთა თაოსნობის აქტიური პროპაგანდა. შეიძლება დავასახელოთ პრესის ბევრი ორგანო, რომლებიც საქმიანად ეხმიერებიან პარტიულ ორგანიზაციებს საწარმოო კოლექტივებში შექმნან შემოქმედებითი ძიების, ტექნიკური კონსერვატიზმისადმი, უძრაობისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო.

მაგრამ დღემდე ზოგიერთი გაზეთი, ჟურნალი და გამომცემლობა, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტი ზერელედ აშუქებს შეჯიბრების საკითხებს, ვერ შეძლო გამოეყო ხუთწლედისათვის ბრძოლის ძირითადი მიმართულებანი, სუსტად სწავლობს და განაზოგადებს ჩვენი ეკონომიკის განვითარების სიღრმისეულ პროცესებს.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ფართოვდება მოძრაობა „დაბუნი საწარმო დავალებების შესრულებისათვის შრომის ნაყოფიერების გადიდების კომპლექსურ გეგმათა ბაზაზე. ამასთან რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, ყირგიზეთის ბევრი სოლოქა, სალქაჩო და რაიონული გაზეთი ჯერ კიდევ პრაქტიკულად არაფერს წერს შეჯიბრების ამ ახალი და დიდმნიშვნელოვანი ფორმის შესახებ. ზოგიერთ გაზეთში შემთხვევიდან შემთხვევამდე იბეჭდება წერილები ისეთი დიდი მნიშვნელობის თემაზე, როგორიც არის ბრძოლა მომეჩინენობისა და ყაირათიანობისათვის, რაც განსაკუთრებით დიდ როლს წარმოებაში, კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრებისა და მოძრაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილებას.

საბჭოთა პრესის დამრაზმველ საშუალებათა მთელი არსენალი, პრესის, რადიოს, ტელევიზიის, ჟურნალისტთა და აქტივისტთა მთელი ძალები. უნდა მოვახმაროთ ხკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული დიდებული ამოცანების განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

ღღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

სვანეთის მთებში, მდინარე ენგურზე 1.600 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის კასკადი შენდება.

ჰიდრომშენებლებმა გადაწყვიტეს მიმდინარე წლის ბოლომდე მწყობრში ჩააყენონ მესამე, ბოლო, ყველაზე მსხვილი მიწისზედა ელექტროსადგურის კასკადი — ვარდნითი პესი-1. სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შესრულებულია.

დღედაღამ არ წყდება მუშაობა სამუშაო მოედნებზე. მიმდინარეობს ქვაბულის მომზადება, სადაც 100 მეტრი სიგანის ძირითადი კაშხალი აშენდება. ხშირ-თებზე: მარჯვნივ — თავდადებით შრომობენ მძლავრი „ბელაზოვის“ მემანქანეები. ყოველ მათგანს ერთ ცვლაში 700 ტონაზდე გრუნტი გადაიქვს; მარცხნივ — გვირაბგამყვანთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები ა. გოორგაძე, ლ. ღლონტი და ვ. იმედაშვილი. ძნინი მიწისქვეშა ჰეს-ის მშენებლობაზე შრომობენ.

ფოტო პ. რუხაძისა, (სახლის ფოტოქრონიკა).

ხუთწლედი — ვადამდე!

□ **თბილისი.** სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის (დირექტორი ჯ. მახარაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ტატიშვილი) კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადაზე ერთი კვირით ადრე შეესრულებინა ათი თვის დავალება. მრთველებმა და მეტრიკოტაჟეებმა პირობა გაანაღდეს, 21 ოქტომბრს უპატაკეს სამშობლოს ათი თვის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების შესრულება. განვლილ პერიოდში კომბინატის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით მოახდინა 740 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 6 პროცენტით, ნაკისრი ვალდებულება კი 5,5 პროცენტით გაზრდას ითვალისწინებდა.

კომბინატში განსაკუთრებული ენთუზიაზმით შრომობენ ნოვატორი მუშები, ისინი ყოველი ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებენ. მათ შრომის შესანიშნავ მაგალითს აძლევს შეჯიბრების ინიციატორი, მრთველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. არათანაშვილი. ნოვატორთა რიგები დღითიდღე იზრდება. მოწინავე მუშების ინიციატივით კომბინატის მშრომელებმა იკისრეს არსებითად გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, გამოძებნონ შიდარეზერვები და სამშობლოს წლიური გეგმის ზევით მისცენ ასობით ათასი მანეთის პროდუქცია.

□ **თბილისი.** (საკ. კორ.). ტყავის საწარმოო გაერთიანების (დირექტორი დ. თომაძე) კოლექტივმა ახალი ხუთწლედის პირველი წელი გამართულად დაიწყო და კარგ წარმატებებსაც მიაღწია. მეტყავეებმა საერთო-პროდუქციის ათი თვის დავალება 103 ხოლო რეალიზაციისა 102,1 პროცენტით გაანაღდეს. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიაწოდეს 300 ათასი დეციმეტრი საძირე ტყავი, და 300 ათასი დეციმეტრი საზედაპირე ტყავი. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 5,2 პროცენტით აამაღლეს.

საწარმოში დიდ ყურადღებას აქცევენ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას. ახლახან დაიდგა და წარმატებით მუშაობს ტყავის დამრბილებელი მანქანა, რომელმაც მკვეთრად გაუმჯობესა ტყავის ხარისხი და აამაღლა გამოსავლიანობა. დაამონტაჟეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს თვითსაცლელი, გამოთავისუფლდა 16 კაცი სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად. მზადდება და უახლოეს ხანში მწყობრში ჩადგება ნახევარფაბრიკატების ჩატვირთვის 3 მექანიზებული კონვეიერი.

დღემდე ტყავის განაყოფის ზედა ნაწილი იყრებოდა, მას ეერთიერში იყენებდნენ. ახლა შემუშავებულია მისი გადამუშავების ტექნოლოგია. პირველი საცდელი პარტია გამოშვებულია. მას იყენებენ ბავშვის ფეხსაცმლის სახედაპირად. აგრეთვე უახლოეს ხანში ტყავის განაყოფის ზედა ნაწილისაგან დაამზადებენ სახედაპირე ლაქს.

საწარმოს კოლექტივმა ამ წარმატებებს ამით მიაღწია, რომ

ვალდებულება შესრულებულია

აუმჯობესა ტყავის ხარისხი და აამაღლა გამოსავლიანობა. დაამონტაჟეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს თვითსაცლელი, გამოთავისუფლდა 16 კაცი სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად. მზადდება და უახლოეს ხანში მწყობრში ჩადგება ნახევარფაბრიკატების ჩატვირთვის 3 მექანიზებული კონვეიერი.

დღემდე ტყავის განაყოფის ზედა ნაწილი იყრებოდა, მას ეერთიერში იყენებდნენ. ახლა შემუშავებულია მისი გადამუშავების ტექნოლოგია. პირველი საცდელი პარტია გამოშვებულია. მას იყენებენ ბავშვის ფეხსაცმლის სახედაპირედ. აგრეთვე უახლოეს ხანში ტყავის განაყოფის ზედა ნაწილისაგან დაამზადებენ სახედაპირე ლაქს.

საწარმოს კოლექტივმა ამ წარმატებებს ამით მიაღწია, რომ ეკონომიკა და ადამიანური ურთიერთობა ... ბრიგადა, რომლებსაც მ. კელბერაშვილი, ლ. ზიკოვი და გ. გოგაშვილი ხელმძღვანელობენ, პირველნი ჩაებნენ ამ პატრიოტულ მოძრაობაში და პირობას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ. ცალკეული მუშები კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს აღწევენ ს. ნოზაძე და დ. ვართაზაროვი ყოველდღიურ დავალებას 120 პროცენტით ასრულებენ.

□ **ქუთაისი.** (საკ. კორ.). „ქუთბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს (დირექტორი ნ. ფაჩუაშვილი) კოლექტივმა, როგორც ეს ვალდებულებით ჰქონდა ნაკისრი, ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა ათი თვის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 91 ათასი მანეთის და რეალიზებულია 33 ათასი მანეთის პროდუქცია, წლიური გეგმის ზევით უკვე მიღებულია 25 ათასი მანეთი მოგება.

მაღაროელებმა ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის საწარმოებს ათი თვის გეგმის გადამეტებით გაუგზავნეს 500 ტონაზე მეტი გრავიტაციული და 3.000 ტონაზე მეტი ფლოტირებული ბარიტი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა ფიციკვარის მაღაროს (უროსი ნ. ჯაოშვილი) კოლექტივმა, რომელმაც ორთვენახევრით ადრე შეასრულა ბარიტის მადნის ამოღებისა და გამდიდრების ხუთწლედის პირველი წლის დავალება.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა თევზის მოწამვლის საკითხი, რასაც იწვევს ის, რომ ქალაქ რუსთავის საწარმოები — სინთეზური ბოჭკოს ქარხანა, ქიმიური კომბინატი და მეტალურგიული ქარხანა მდინარე მტკვარში უშვებენ ტოქსიკური ნივთიერებების დიდი შემცველობის გაუუქყიანებულ ჩამდინარე წყლებს.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ საწარმოთა გაერთიანებული ჩამდინარე წყლების გადაგდების ადგილის ქვემოთ აღებული მტკვრის წყლის სინჯებში ტოქსიკურ ნივთიერებათა შემცველობა ბევრად აღემატება თევზის სამეურნეო წყალსატიების დასაშვებ ზღვრულ კონცენტრაციას. აღნიშნულ საწარმოებს დღემდე არ აღმოუფხვრიათ მდინარეში მავნე ნივთიერებათა მოხვედრის შესაძლებლობა, არ ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ჩამდინარე წყლების გასაწმენდ ნაგებობათა ნორმალური და ეფექტიანი შუშაობის უზრუნველყოფის, ახალი ნაგებობების მშენებლობისა და საამქროს და საერთო-საქართველო ჩამონადენში ჩამდინარე წყლებიან გაწმენდის ხარისხისადმი ზუსტი (ყოველ ცვლაში) ლაბორატორიული კონტროლის დაწესების შესახებ. უხეშად ირღვევა ანალიზის ვადები, ქიმიურ კომბინატში ჯერ კიდევ არ დაუწესებიათ მკაცრი რეჟიმი ზამქიმიკატების საამქროს ჩამდინარე წყლების დეგაზაციისადმი. ქიმიურ კომბინატში არის ავრეთვე მოელი რიგი სხვა სერიოზული დარღვევები.

ქიმიური კომბინატისა და რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის ხელმძღვანელობის მიზეზით მეორედ ჩაიფუშა კომბინატის ჩამდინარე წყლების გამსაშუალებლის მშენებლობის დამთავრების ვადა, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ 1970 წლის პირველ ნახევარში. 1970 წელს საექსპლოატაციოდ არ არის გადაცემული ავრეთვე ზამქიმიკატების საამქროს ორი რეზერვუარი.

მდინარის ამ უბანზე თევზის დაცვის ღონისძიებების შესრულებას სუსტად ამოწმებს რუსთავის თევზის დაცვის ინსპექცია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში რუსთავის ქიმიური კომბინატის, მეტალურგიული ქარხნის და სინთეზური ბოჭკოს ქარხნის დირექტორებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ სამრეწველო ჩამდინარე წყლებით მდინარე მტკვრის გაუუქყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესრულება, ყოველთვიურად განიხილონ ჩამდინარე წყლების ამ ანალიზის შედეგები, რომელსაც საწარმოთა ლაბორატორიები და რუსთავის სანეპიდსადგური აწარმოებენ, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი აღმოჩენილ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

რუსთავის ქიმიური კომბინატის დირექტორს წინადადება მიეცა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ზამქიმიკატების საამქროს ჩამდინარე წყლების დეგაზაციის დანადგარებისა და აპარატურის ექსპლოატაციის, განახორციელოს მათი ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი და ყოველი ღონე იხმაროს, რათა მიმდინარე წლის ოქტომბერში ამოქმედდეს კომბინატის საწარმოო ჩამონადენის გამსაშუალებელი და ზამქიმიკატების საწარმოს ორი რეზერვუარი.

რესპუბლიკის მთავარ სანიტარულ ექიმს ევალება უზრუნველყოს, რომ რუსთავის სანეპიდსადგურმა გააუმჯობესოს მუშაობა ჩამდინარე წყლების ანალიზების სისტემატური მოწყობისათვის, მეტალურგიული ქარხნის ქიმიური კომბინატისა და ქიმიურ ბოჭკოს ქარხნის არსებული საწმენდი და გამაუვნებელი ნაგებობების ეფექტიანი მუშაობის შემოწმებისათვის.

„საქმაგზღვათეგზმენის“ უფროსს წინადადება მიეცა რუსთავის თევზმოდაცის ინსპექცია გაძლიეროს კვალიფიციური მუშაკებით და უზრუნველყოს მათი ოპერატიული მუშაობა.

იმისათვის, რომ არ ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს, რათა შეწყდეს მდინარე მტკვარში მავნე ქიმიური და სხვა ნივთიერებებით გაუუქყიანებული ჩამდინარე წყლების დადგდება, რაც იწვევს თევზის მოწამვლასა და დაღუპვას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაფრთხილა ქიმიური კომბინატის დირექტორი გ. ეამიერაშვილი და მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. სულაძე, დაავალა მათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მომავალში მდინარე მტკვარში მავნე ნივთიერებების შემცველი ჩამდინარე წყლების გადაგდების თავიდან აცილებისათვის. ისინი მოვალენი არიან ერთი თვის ვადაში მოახსენონ მინისტრთა საბჭოს მიღებულ ღონისძიებათა შესახებ.

ქიმიური კომბინატის საწარმოო ჩამონადენის გამსაშუალებლისა და ზამქიმიკატების საწარმოს ორი რეზერვუარის მშენებლობის დამთავრების, ადგილის ჩაუშვებისათვის მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველი ა. ბელია გაფრთხილებულია.

ქიმიური კომბინატის, მეტალურგიული ქარხნისა და სინთეზური ბოჭკოს ქარხნის დირექტორებს წინადადება მიეცათ განიხილონ იმ მუშაკთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც დაშვებული არიან მავნე ქიმიური და სხვა ნივთიერებებით ჩამდინარე წყლების გაუუქყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა შეუსრულებლობაში.

წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და „საქმაგზღვათეგზმენი“ მოვალენი არიან სისტემატურად უწევდნენ კონტროლს ამ დადგენილების შესრულებას. (საქდისი).

ი. გაანკი თბილისში ჩამოვიდა

თბილისში ჩამოვიდა რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, სატყეო და წყალთა მეურნეობის მინისტრი იოსებ ბანკი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობს. ბანკთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბ. რუნეოი.

აეროდრომზე ი. ბანკსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ფელდიშმანი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. რობერეშვილი, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი მ. ღვინჯილია, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. კუპრავა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ბებიშვილი, რესპუბლიკის კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ვ. უნგაძე, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ბურგანიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბ. ფალავანდიშვილი.

13 ნოემბერს ოსებ ბანკი და მასთან ერთად ჩამოსული პირნი ეწვივნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას, ჩაის სახლს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებსა და მასწავლებლებს. მათ აგრეთვე დაათვალიერეს ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა და ვარკეთილის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა. (საქდისი).

ზელმძღვანელი პარტიული კადრების სწავლება

პარტიის XXIV ყრილობის მითითებებისა და ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების შესაბამისად, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს კადრების გადამზადების სისტემა, დაიწყო მორიგი მეცადინეობა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მუდმივმოქმედ კურსებზე.

კურსების მსმენელები იმეცადინებენ ახალი სასწავლო გეგმით. ისინი შეისწავლიან მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებთან მჭიდრო კავშირში. დიდი ყურადღება დაეთმობა სოციალისტური ეკონომიკის მეცნიერული მართვის საფუძვლებს. მეცადინეობაზე დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა აგრეთვე სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დროულად და ფართოდ გამოყენების საკითხებს.

მსმენელები ეწევიან სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, სამრეწველო საწარმოებს, მშენებლობებს იმ მიზნით, რომ გაეცნონ წარმოების ეფექტიანობის, ამაღლებისათვის გაწეული მუშაობის მოწინავე გამოცდილებას, პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობას.

12 ნოემბერს კურსებზე ხკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში მეცადინეობას შეუდგნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, რომლებიც განაგებენ მრეწველობისა და მშენებლობის საკითხებს. მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი ვ. ა. კირილინი და გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ე. გ. აფანასიევი.

პრისტიან კამარა-ტეილორი: ვიზიტი ნაყოფიერი იყო

— **საქართველოს** გამოცდილება სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სახალხო განათლების ორგანიზაციის საქმეში ჩვენი განვითარებადი ქვეყნისათვის დიდ პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს. ბევრი რამ საყურადღებო და სასარგებლო გადავიღეთ. ჩვენი ვიზიტი ძალიან ნაყოფიერი იყო. განუცხადა საქმიანს კორესპონდენტს სიერა ლეონეს რესპუბლიკის პარტიული დელეგაციის მეთაურმა, სრულიად სახალხო კონგრესის პარტიის განგრაალურმა მდივანმა, ფინანსთა მინისტრმა პრისტიან კამარა-ტეილორმა.

რესპუბლიკაში ოთხი დღის ყოფნის მანძილზე დელეგაციის წევრები გაეცნენ საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. ისინი იყვნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, ავლაბრის არაოჯახური სკასბა-მუშეთში, რომელიც ამეიერკიკასიის სახელოვანი რევოლუციური წარსულის შესანიშნავი ძეგლია, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ეწვივნენ ჯორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობას, საუბარი ჰქონდათ პარტიის ჯორის რაიკომში. დელეგაციის წევრები მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ჩუკაინმა.

13 ნოემბერს სიერალეონელი სტუმრები ლენინგრადში გაფრინდნენ. აეროდრომზე ისინი გააცილეს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მ. გურდელაძემ, აზიაფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. გულისაშვილმა, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგემ ჰ. ჰიპაშვილმა, აზიაფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ნ. კოზლაშვილმა. (საქდისი).

ი. ბაანკი თბილისში ჩამოვიდა

საერთაშორისო ინვესტიციის ბანკის საბჭოში

12 ნოემბერს მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ინვესტიციის ბანკის საბჭოს მეოთხე სხდომა.

ბანკის საბჭომ განიხილა და დამტკიცა დასაკრედიტებელი ობიექტების ნუსხა, ბანკის კრედიტის გეგმა და საბჭოს მუშაობის გეგმა 1972 წლისათვის. აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილებანი ბანკის საქმიანობის მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

საერთაშორისო ინვესტიციის ბანკის სხდომა მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგებისა და საქმიანი თანამშრომლობის ვითარებაში. (საქდისი).

ბრიტანეთის კომპარტიის ყრილობა

ლონდონი. (საკდისი). 13 ნოემბერს ლონდონის კიდენთაუნ ჰოლის დარბაზში ჯახხნა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის XXXII ყრილობა. ყრილობა განიხილავს პროგრამებს რეზოლუციებისა „ერთიანობა, კომუნისტური პარტია და სოციალიზმისათვის ბრძოლა“, „საერთო ბაზარი და ევროპის უშიშროება“ და მთელ რიგ საკანონმდებლო რეზოლუციებს — მდგომარეობა ვიეტნამში, ჩრდილოეთ ირლანდიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რომლებიც შეიტანა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა.

დაჯმარეგა

სურსათითა და პირველი საჭიროების საქონლით ავღანეთის მთიან ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონების მოსახლეობის უზრუნველყოფაში სტიქიური უბედურების შედეგად წარმოშობილი სიძნელეების გამო ავღანეთის მთავრობამ სთხოვა საბჭოთა მთავრობას დახმარება გაეწია ამ რაიონების მოსახლეობისათვის.

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც სსრ კავშირისა და ავღანეთის გულწრფელი მეგობრობისა და ავითარებლობის ერთ-ერთ ... ბრძოლის ... ხელმძღვანელობის საქმეში, ... ავღანეთის ... ...

ᲛᲣᲨᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲘᲙᲕᲐᲚᲐᲕᲡ

ᲓᲦᲔᲡ ᲯᲔᲠᲐᲠ სრულიად ნათელია, რომ დიდი ბრიტანეთის პოზიცია იმყოფება აშკარა წინააღმდეგობაში ევროპასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების ატმოსფეროსთან. ეს პოზიცია სათანადო ასახვას პოულობს თითქმის ყველა ინგლისურ გაზეთში. ინგლისის პრესა ისევე როგორც მთავრობა, ამეღავნებს მტრულ დამოკიდებულებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისადმი. ამასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო იქნება თვალი გადავავლოთ იმას, თუ როგორ აფასებენ ინგლისის გაზეთები ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს საფრანგეთში და ა. ნ. კოსიგინის ვიზიტს კანადაში.

პრაქტიკულად გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია სიტყვასიტყვით იმეორებენ ერთსა და იმავეს. მე არ მახსოვს სხვა შემთხვევა, როდესაც ადგილი ჰქონდა ამგვარ „ერთსულოვნებას". მაგრამ მათ გულწრფელობაში ეჭვი მეპარება. როდესაც ინგლისელ კორესპონდენტთა მიერ მოვლენების ერთნაირი შეფასება გამოდის ერთმანეთისაგან იმდენად დაშორებული პუნქტებიდან, როგორიც არის, ვთქვათ, ბონი და ვაშინგტონი, ეს ლაპარაკობს პრესის ერთბაირი ან ირიბ ინტენსიურ დამუშავებაზე, იმ პრესისა, რომელიც დიდხანია არ ყოფილა ასე დამჯერე.

ამავე დროს გვხვდება სხვა ნაწილითაც შეფასებებიც. გაზეთი „ტაიმსი" სარედაქციო სტატიაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტთან დაკავშირებით წერდა, რომ იგი უნდა განხილულიყო „როგორც კიდევ ერთი ნაბიჯი ევროპაში დაძაბულობის შენელების საერთო მისწრაფების გზაზე". ბი-ბი-სის პარიზელი კორესპონდენტი თავის ცნობაში აღიარებდა, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად ფრანგების დიდი უმრავლესობა იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტს მათს ქვეყანაში.

ინგლისში, სხვათა შორის ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში და ამერიკაში, ესმით, რომ დადგა საერთაშორისო პოლიტიკაში ღრმა გარდაქმნების ჟამი. ინგლისს პრესა დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტს საფრანგეთსა და კანადაში, იმიტომ რომ მას არ ძალუძს ამ ფაქტების იგნორირება. კომენტარს უწევდა რა ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს პარიზში, ბი-ბი-სი აღნიშნავდა, რომ მსოფლიო შევიდა მოლაპარაკებებისა და შეფასებების ახალ სტადიაში. ამ მოვლენათა მიხედვით იმას, რაც ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიაზე, ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორიც ახლო აღმოსავლეთის, აღმოსავლეთ პაკისტანისა თუ ბერლინის პრობლემებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მსოფლიოს, რომელიც აგონიას განიცდის, გამოჯანმრთელება დაიწყო.

ამასთან ინგლისი, მტრულად განწყობილი ევროპასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების პროცესისადმი, მოგვაგონებს კაცს, რომელიც ცდილობს შეაჩეროს ოკეანის ტალღა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ინგლისის პოლიტიკა ჩრდილოეთ ირლანდიასა და აფრიკაში მიაგავს აფეთქებას საწყაროში, რომელიც ცდილობს საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კოლონიალიზმის ნაშთების მოსპობას.

როგორ აპირებს ინგლისის მთავრობა მოიქცეს როდეზიის საკითხში (შეთანხმებას მიაღწიოს სმიტის რეაქციულ რეჟიმთან), ეს დაკავშირებულია მის პოლიტიკასთან ჩრდილოეთ ირლანდიაში, ევროპაში, შორეულ აღმოსავლეთში, ახლო აღმოსავლეთში. ინგლისის მმართველი წრეების პოლიტიკა ყველგან ერთნაირია. ეს არის კაპიტალის ინტერესების დაცვა სრულიად გარკვეული ჯიშის მეკავშირეობის დახმარებით. მაგრამ ინგლისის მმართველთა შეხედულებები იმდენად დრომოჭმულია, რომ ეს მათ მომხრეებსაც აშინებს.

„სანდი ტაიმსმა", მაგალითად, გამოაქვეყნა მასალა ჩრდილოეთ ირლანდიაში ინტერნირებულთათვის არსებული ბანაკების შესახებ, სადაც აწამოებენ არა მარტო ფიზიკურ, არამედ საკმაოდ ოსტატურ და მხეცურ ფსიქოლოგიურ წამებას, რომელიც ადამიანს სულიერად სპობს. ხსნიდა რა მიზეზებს, რომლებმაც აიძულეს გაზეთი გამოსულიყო ამ მხილებებით, „სანდი ტაიმსი" ხაზს უსვამდა, რომ ვიეტნამის ომმა გათიშა ამერიკელები, რომლებიც „ახლა განიცდიან თავიანთ ისტორიაში ყველაზე მძიმე პერიოდს". არსებობს საშიშროება, — განაგრძობდა გაზეთი, — რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში გამეორდება ამერიკის ტრაგედია. გაზეთი შეშფოთებულია იმით, რომ ოლსტერში შექმნილმა მდგომარეობამ არ აანონა ინგლისის მმართველ წრეებს.

ყველასათვის გასაგებია, რომ გზა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ იოლი როდია. რეაქციის ძალები შეეცდებიან ყოველნაირად შეუშალონ ხელი ამ პროცესს, მაგრამ ხალხებისათვის ესოდენ საჭირო დაძაბულობის შენელების საბჭოთა ინიციატივა და მიმართულება მაინც იკვლევს გზას მშვიდობისაკენ, სიყალბისა და ბიხეორი ინსინუაციების მიუხედავად.

ᲯᲔᲘᲛᲡ ᲝᲚᲓᲠᲘᲯᲘ,
ინგლისელი მწერალი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ.

ᲙᲠᲐᲙᲚ

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ღანის ციხე-დარბაზში პრაღის მახლობლად დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. ჰუსაკი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი.

მოლაპარაკების დასასრულს ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში და გამოავლინა სრულიად ერთნაირი შეხედულებანი ყველა განხილულ საკითხზე.

დღესვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **ᲩᲘᲚᲔᲨᲘ** მოგზაურობს კუბის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო. დელეგაცია ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად არის ჩილეში. საპატიო სტუმრები ჩავიდნენ ანტოფაგასტაში, ამავე სახელწოდების პროვინციის ცენტრში.

● **1971 ᲬᲚᲘᲡ 10-12** ნოემბერს ბუდაპეშტში გაიმართა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, მთავრობათაშორისი კომისიის XI სხდომა.

● **ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ** კომპარტიის რიგებში ახლა ირიცხება 1.518.415 წევრი. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე იტალიის კომპარტიაში შევიდა 213.585 კაცი. მათ შორის უმრავლესობას მუშები შეადგენენ.

● **ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ** პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ დაამთავრა სამი დღის ოფიციალური ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. გამგზავრების წინ იგი კვლავ შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ვ. ბრანდტს.

● **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ** შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრინავმა „შეცდომით" დაუშინა ცეცხლი ხაიგონის მარიონეტული რეჟიმის ჯარისკაცების ჯგუფს. „შეცდომის" შედეგია: 8 დახოცილი და 21 დაჭრილი. იმავე დღეს ამერიკელთა სამხედრო სატვირთო ავტომანქანა დაეჯახა „მოკავშირეთა" ავტომობილს და... გაიქცა. ბედის ანაბარად მიატოვა რა 11 დაჭრილი. საიგონის არმიის ერთი ჯარისკაცი გარდაიცვალა.

● **ᲓᲔᲘᲢᲝᲜᲘᲡ** რაიონის (აშშ. ოჰაიოს შტატი) 53.900 მოსწავლემ მოუტანა ამ დღეებში მშობლებს ოფიციალური ცნობა, რომ „ფინანსური კრიზისის გამო" „გაურკვეველი ვადით" იხურება ყველა ადგილობრივი სკოლა.

● **ᲥᲐᲚᲐᲩᲘ** ბალტიმორაში მიმდინარეობს უოფილი ამერიკელი კონგრესმენის ჯ. დაუდის (ტეხასის შტატისაგან) ხასამართლო პროცესი. დაუდს ასამართლებენ იმის გამო, რომ იგი დიდ ქრთამს ართმევდა უხამს საქმეებში გარეულ კერძო კომპანიებს და თავიდან აცილებდა მათ პასუხისმგებლობას.

ᲓᲘᲓᲘᲮᲐᲜᲘᲐ ᲮᲘᲨᲢᲐ და ხელკეტი ამერიკის შეერთებული შტატების „დემოკრატიული" საზოგადოების სიმბოლოდ იქცა. ხელისუფალნი არაფერს ერიდებიან, რათა სასტიკად გაუსწორდნენ ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეებს, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა გამოსვლებს. დემონსტრაციებმა, მიტინგებმა, პროტესტებმა იმდენად გრანდიოზული მასშტაბები მიიღო, რომ პოლიციელთა ნაცადი იარაღით — ცრემლსადენი გაზით, ხის ტყვიებით მსროლელი შაშხანებით ვეღარ უმკლავდებიან დემონსტრანტებს. ამიტომ პოლიციელთა დასახმარებლად სულ უფრო ხშირად გამოჰყავთ ფედერალური ჯარის ნაწილები, რომლებიც შეიარაღებული არიან ვერტმფრინავებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით. ამ სურათზე, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „ნიუსუიკში", აღბეჭდილია ეროვნული გვარდიელების წვრთნის მომენტი. ისინი სწავლობენ, თუ როგორ უნდა გაუსწორდნენ დემონსტრანტებს.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲗᲐ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲛᲐᲕᲐᲠᲘᲡᲐᲓ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

პრეზიდენტის განცხადებანი მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს განახორციელოს წინანდელი კურსი ინდოჩინეთში და, კერძოდ, განაგრძოს სამხრეთ ვიეტნამის, ლაოსის, კამბოჯისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა. რ. ნიქსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები „არა თუ განაგრძობს საჰაერო თავდასხმებს, არამედ გააძლიერებს კიდეც მათ", თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დეკემბერ-იანვარში სამხრეთ ვიეტნამიდან გაიყვანს 45 ათას ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეს. სამხრეთ ვიეტნამიდან შეერთებული შტატების ჯარების შემდგომი გაყვანა რ. ნიქსონმა დაუკავშირა იმას, თუ როგორ წარიმართება „ვიეტნამიზაცია" და საიგონის მარიონეტული არმიის წვრთნა.

პრეზიდენტს არა თუ არ დაუსახელებია სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების გაყვანის საბოლოო თარიღი, არამედ აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს „საჭიროდ მიიჩნევ შეინარჩუნოს ძალების ნარჩენი კონტინგენტები" იქ „განუსაზღვრელი დროით. სამხრეთ ვიეტნამიდან საოკუპაციო ჯარების დატოვების გეგმები დაასაბუთა იმით, რომ საჭიროა ხელისუფლების სათავეში დარჩეს საიგონის ახლანდელი რეჟიმი.

რ. ნიქსონის გამოსვლა არ შეიცავდა არავითარ წინადადებას ვიეტნამის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ. მან თქვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „უახლოეს მომავალში შესაძლებლად არ მიაჩნია რაიმე არსებითი ძვრები მოხდეს პარიზის მოლაპარაკებაზე". ამერიკის პრეზიდენტმა ისევ ისახელოდ დატოვა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა. შედეგი პუნქტისაგან შემდგარი წინადადებები, რომლებიც რიალურ და სამართლიან საფუძველს ქმნიან ვიეტნამის საკითხის მოწესრიგებისათვის.

რ. ნიქსონი შეეხო აგრეთვე მოილ წრის სხვა საერთაშორისო პრობლემებს. როგორც სთხოვეს აზრი გამოეთქვა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების პირსპექტივების, გამოთქვა პრეზიდენტმა თქვა: მჯერა, რომ შესაძლებელია მივაღწიოთ პროგრესს შეთანხმების დადების გზაზე ამა წლის დამლევამდე.

შეეხო რა საშინაო მდგომარეობას, პრეზიდენტმა აღიარა, რომ მთავრობის ამ ბოლო ხანს განხორციელებული ღონისძიებანი, რომლებმაც, როგორც ცნობილია, გამოიწვიეს სიძნელენი ამერიკის ეკონომიკაში და „დოლარის დაავადება", „ვერ აღწევენ ჩვენთვის სასურველ ყველა მიზანს". რ. ნიქსონმა დასძინა, რომ ქვეყანაში იგრძნობა „შერყევობა" ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). პრეზიდენტ რ. ნიქსონის განცხადებამ "პრეს-კონფერენციაზე ბევრი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლის კრიტიკა გამოიწვია.

„ვლავინდებურად არ არის არავითარი ნიშანი, რომლებიც მიგვანიშნებენ ვიეტნამში ომის დამთავრებას", — განაცხადა სენატორმა გ. ჰიუზმა. მან „იმედის გაკრეფაზე" უწოდა პრეზიდენტ ნიქსონის მიერ გამოცხადებულ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულიდან ამერიკის ჯარების გაყვანის ტემპს. სენატორმა მ. მენსფილდმა, შესწორების ავტორმა, რომელიც მოითხოვს ამერიკის მთელი ჯარების გაყვანას სამხრეთ ვიეტნამიდან იქნისი თვის განმავლობაში, აღრეთვე სინანული გამოთქვა ამერიკის მთავრობის გეგმებთან დაკავშირებით, მენსფილდმა დაადასტურა, რომ აპირებს კონგრესს მიაღებინოს ოუჩოთის დახმარების შესახებ კანონპროექტის ეს შესწორება.

„მე ვლავინდებურად მხარს ვუჭერ მენსფილდის იდეას და მიმაჩნია, რომ ჯარები უნდა გამოვიდნენ იქისი თვის განმავლობაში", — განაცხადა სენატორმა ა. რიბიკოვმა.

პრეზიდენტის გამოსვლა გააკრიტიკეს მმართველი რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებმა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲐᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ

13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). 4 ათასზე მეტი პოლიციელი, რომლებიც ჩრდილოეთ ირლანდიის კათოლიკური გეტოების მცხოვრებთა ჩხრეკა-დაპატიმრებაში მონაწილეობენ, აღიჭურვება უახლესი ცეცხლსასროლი იარაღით.

მათ განკარგულებაში გადაეცემა ინგლისის საოკუპაციო ჯარების შეიარაღებაში არსებული ტანკსაშფრქვევები და ავტომატური იარაღი. ეს განაცხადა გუშინ ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა მოდლინგმა ლონდონში. „ირლანდიელ ტერორისტთა" წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ინგლისის მთავრობამ, როგორც პრესა წერს, დააამყოფილა ოლსტერის რეაქციის მოთხოვნები და შეაიარაღა პოლიცია, რათა უფრო ეფექტიანად გამოიყენონ იგი ჩრდილოეთ ირლანდიაში „წესრიგის დასამყარებლად". ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების სარდლობას იბრძანა „ეფექტიანად" ებრძოლა „ტერორისტებს".

ᲜᲔᲞᲐᲚᲘ ᲢᲐᲨᲡ ᲣᲙᲠᲐᲕᲡ „ᲝᲠᲔᲠᲐᲡ"

ᲙᲐᲢᲛᲐᲜᲓᲣ, 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). დიდი წარმატებით ჩაიარა ეროვნულ თეატრში საბჭოთა მსახიობების ჯგუფის პირველმა გამოსვლამ ნეპალის დედაქალაქის ხელოვნების მოყვარულთა წინაშე.

მაყურებელნი მჭახარე ტაშით ხვდებოდნენ პროგრამის ყოველ ნომერს. განსაკუთრებული წარმატება ხვდა საქართველოს ანსამბლს „ორერას". მაყურებელნი აღტაცებული შეხვდნენ პლასტიკური ეტიუდის შემსრულებელს თამარ ვიტაკინას, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს მომღერალ ნანი ბერეგვაძესა და სხვა შემსრულებლებს.

საბჭოთა ხელოვნების ოსტატები კატმანდოში გამართავენ კიდევ ხუთ კონცერტს. 17 ნოემბერს ისინი გაფრინდებიან სინგაპურში. მათი გასტროლების შემდგომი მარშრუტია მალაიზია, ციელონი, ინდოეთი.

ᲤᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲤᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

„პეკინის წიგნის მაღაზიების თაროებიდან თანდათან გაქრა „პატარა წითელი წიგნი" — მაო ძე დუნის ციტატების კრებული.

პეკინში მყოფ მეთვალყურეებს მიაჩნიათ, რომ ეს აიხსნება არა ამ წიგნის მარაგის დაშრეტით, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილებით, რომელიც, რა თქმა უნდა მის შინაარს ეხება. ამ ბოლო დროს ჩინეთში კვლავ საგანგებოდ ლაპარაკობენ „მაო ძე დუნის მოძღვრების გაგარჯვებებზე". მაგრამ ამასთან, ბევრი მეთვალყურის აზრით, იბადება კითხვა, რა სჭირს მარშალ ლინ ბიაოს, რომელმაც თვითონ დაუწერა ამ „წითელ წიგნს" წინასიტყვაობა, აცხადებს სააგენტო.

პეკინის დიპლომატიურ წრეებში, იმ პირთა შორისაც კი, რომლებიც ყველაზე ახლო არიან ჩინეთის მთავრობასთან, ახლა სულ უფრო ეჭვობენ, რჩება თუ არა ჩინეთში „მეორე კაცად" ლინ ბიაო.

პეკინის წიგნის მაღაზიებში სულ უფრო ძნელად ნახავთ პარტიის წესდების ჩინურ გამოცემას, რომელიც პარტიის IX ყრილობამ მიიღო 1969 წელს. ამ წესდებაში ლინ ბიაოს უწოდებენ თავმჯდომარე მაოს „მემკვიდრეს".

ასევე ძნელი საშოვნელია 1965 წელს გამოცემული ლინ ბიაოს ბროშურა „ხალხო ომი", რომელშიც მას უწოდებენ „თავმჯდომარე მაოს ერთგულ თანამებრძოლ ამხანაგს", და კულტურული რევოლუციის „დიდმნიშვნელოვანი" დოკუმენტების კრებულს, რომელიც ერთი წლის წინათ გამოვიდა და უმთავრესად შეიცავს მარშლის სიტყვებს.

ლინ ბიაოს პორტრეტი, რომელიც სულ ახლახან ბევრ მაღაზიაში ეკიდა მაო ძე დუნის პორტრეტების გვერდით, უკვე ალარ ჩანს. მარშალ ლინის სახელი, ნათქვამია შემდეგ ფრანს პრესის ცნობაში, უკვე ორ თვეზე მეტია არ ჩნდება ცენტრალურ პრესაში. თავმჯდომარე მაოს მემკვიდრის უკანა პლანზე გადანაცვლებას კვლავ ადასტურებს ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური თეორიული ჟურნალის „ჰუნციის" უკანასკნელი გამოშვება.

ამ ნომერში დაბეჭდილ სტატიაში გაკრიტიკებულია „სექტანტობა" და რამდენჯერმე მეორდება ფორმულა „ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც თავმჯდომარე მაო მეთაურობს" იმ ფორმულისაგან განსხვავებით, რომელსაც სექტემბრამდე იყენებდნენ და რომელშიც ნათქვამი იყო „თავმჯდომარე მაოსა და თავმჯდომარის მოადგილის ლინის მეთაურობით".

ამ სტატიაში, რომელიც წინ უძღვის მეორე დოკუმენტს, რომელიც აღნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენას, ხაზგასმულია, რომ სექტანტობა „წარმოშობს ქსენოფობიის განწყობილებას". ამისათვის საჭიროა „აღმოიფხვრას ეს ბოროტება" და აღნიშნულია, რომ ჩინეთის კომპარტიის ისტორია გვიჩვენებს: „ყოველთვის იყვნენ მოღვაწენი, რომლებიც იყენებდნენ მცდარ პოლიტიკას, რისთვისაც მიმართავდნენ ორგანიზაციულ სექტანტობას და ცდილობდნენ თავიანთ მხარეზე გადმოებირებინათ პარტიის წევრთა ჯგუფი და გაეთიშათ მეორე ჯგუფი, შეექმნათ კლანი და გაერთიანებულიყვნენ პატარა ხროვად".

გამოცდილი დიპლომატიური მეთვალყურენი, აცხადებს ფრანს პრესის სააგენტო, რომლებიც თვალს ადევნებენ მდგომარეობას ჩინეთის პოლიტიკურ ასპარეზზე, აღნიშნავენ, რომ ამ სტატიის გამოქვეყნების დროს ემოხვევა საზოგადოებრივი ასპარეზობა ორ ოვეზე მეტი ხნის წინათ მარშალ ლინ ბიაოსა და არმიაში მისი მთავარი თანაშემწეების გაქრობას.

ოქტომბრის დამდეგიდან, ეროვნული დღის გამო დღესასწაულობათა მოულოდნელი შეცვლის შემდეგ, პრესა ეწევა გაძლიერებულ კამპანიას და პირველად საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ ხაზს უსვამს, რომ პარტიის სამხედრო კადრები მითითებებს უნდა იღებდნენ პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობისაგან და რეგულარულად ანარებდნენ მათ ანგარიშს. ეს კამპანია ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სამხედრო იერარქიას ერთმევა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებანი და ნიშნავს საომქალაქო პირთა „მოზღვავებას" მეთაურთა პოსტზე, ნათქვამია საფრანგეთის სააგენტოს ცნობაში.

ᲛᲝᲛᲔᲚᲘ

ᲬᲐᲧᲠᲣᲔᲑᲐ

ნახ. გ. ლომიკისა.

ᲙᲐᲛᲐᲖᲝᲜᲘᲡ ᲣᲓᲐᲑᲣᲠ ᲢᲧᲔᲔᲑᲨᲘ

ᲘᲜᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲝᲛᲘ

ᲚᲘᲛᲐ, 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). პერუს სამეცნიერო ექსპედიციამ ცნობილ მეცნიერ-ანთროპოლოგ სესარ ვივანკოს მეთაურობით აღმოაჩინა ინდიელთა ახალი ტომი.

ტომი, რომელიც თავის თავს „კაუკუჩურის" უწოდებს, მოსახლეობს სამხრეთ-დასავლეთ პერუში, ვდინარე ამაზონის აუზის უდაბურ ტროპიკულ ტყეებში.

ტომში 700 კაცია. ტომის ძირითადი საქმიანობა პრიმიტიული მიწათმოქმედებაა.

ᲛᲣᲨᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲘᲙᲕᲐᲚᲐᲕᲡ

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ღანის ციხე-დარბაზში პრაღის მახლობლად დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. ჰუსაკი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი.

მოლაპარაკების დასასრულს ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში და გამოავლინა სრულიად ერთნაირი შეხედულებანი ყველა განხილულ საკითხზე.

დღესვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲐᲜᲔᲒᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲝᲚᲐᲠᲐᲛᲘᲡᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

---

17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲬᲣᲡᲢᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ „ᲚᲣᲜᲝᲮᲝᲓ-1" ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲕᲝᲑᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲐᲗᲗᲕᲘᲜᲐᲮᲣᲠᲐᲠᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲔᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲞᲘᲣᲠᲘ „ᲖᲦᲕᲘᲡ ᲚᲐᲜᲓᲨᲐᲤᲢᲘᲡ" ᲛᲝᲓᲔᲚᲘ. ᲐᲛ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙ

ზრუნვის პასუხად — მხოლოდ სიბეჯითე

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კარტულ-კომკავშირული ორგანიზაციის

სულ რამდენიმე კვირა გვაშორებს სტუდენტთა სრულიად-საკავშირო შეკრებას. ახალგაზრდობის ამ დიდ ფორუმზე დაისახა ახალი, დიდი ამოცანები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სამოქმედო პროგრამა. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა დიდი ინტერესით მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა, რომელიც გამსჭვალულია სტუდენტი ახალგაზრდობისადმი მზრუნველობით. იგი იქცა ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის სამოქმედო პროგრამად. ახლა მთავარი ამოცანაა ამ სიტყვის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა თვითეული სტუდენტის, მოსწავლის, ახალგაზრდა მუშის, კოლმეურნის, თვითეული ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ.

და ეი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ახალგაზრდები, ყველა აკადემიურ ჯგუფში, ყველა კურსზე და ფაკულტეტზე შეუდგნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის საფუძვლიან შესწავლას, მისი არსი და მნიშვნელობა გაეცნო ყველა სტუდენტს, ყველა კომკავშირელს. იხილავენ ამ დიდ დოკუმენტს და სტუდენტი ახალგაზრდები დიდი მადლიერებით უხდიან მადლობას პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს ასეთი ზრუნვისათვის, დიდი ამაგისათვის, პირობას დებენ ამ დაფასებას კარგი აკადემიური, სწავლითა და შრომით უპასუხონ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საჭკო დარბაზში ვართ. აქ მიმდინარეობს პარტიულ-კომკავშირული აქტივის კრება, სადაც მოხსენებით — სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრების შედეგები და ინსტიტუტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანები — გამოვიდა ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. გელბახიანი.

— ჩვენო უმცროსო მეგობრებო! — მიმართა რექტორმა სტუდენტებს.—თქვენი ალმზრდელები, თქვენთან ერთად დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს სტუდენტთა საკავშირო შეკრებას, ყურადღებით მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა, რომელშიც კონკრეტულად არის მოცემული ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის პროგრამა. იგი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ ზრუნავენ თქვენზე, საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკებსა და ქალიშვილებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი.

უდიდესი პუშანური აქტია ამ დღეებში მიღებული დიდმნიშვნელოვანი დადგენილებაც, რომლის თანახმად საგრძნობლად მატულობს სტიპენდიები და იზრდება სტუდენტთა საერთო საცხოვრებელთა რიცხვი. დააკვირდით, რა დიდი თანხები გამოიყოფა დამატებით ამისათვის. ჩვენ, თქვენი ალმზრდელები, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები გახდეს სწავლასა და შრომაში, მეცნიერების დაუფლებაში თქვენი აქტივობის ამაღლების ახალი სტიმული.

თქვენ გხვდათ წილად ასეთი ბედნიერება. ჩვენს შემდეგ თქვენს ხელთ იქნება საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის ბედი, თქვენ უნდა შეეცალოთ ჩვენი სახელმოხვეჭილი მეცნიერები. ვამაყობთ იმით, რომ ინსტიტუტდამთავრებული 18 ათასი ექიმი საუკეთესოდ უძღვება შრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ისინი ჩინებულად იცავენ ტრადიციებს, რომლებიც მათ გადასცეს ჩვენმა წინაპრებმა. ჩვენმა ალზრდილებმა არა მარტო შრომითა და სწავლით მოიხვეჭეს სახელი, არამედ, როცა სამშობლოს განსაცდელი დაემუქრა, დატოვეს ინსტიტუტი და იარაღით ხელში დაიცვეს იგი. ბევრმა გასწირა სიცოცხლე, ბევრი მაზარით დაუბრუნდა შშობლიურ სასწავლებელს და მიიღო უმაღლესი განათლება.

თქვენ დღეს ყველა პირობა გაქვთ შექმნილი სწავლისათვის, თქვენს განკარგულებაშია სამედიცინო ქალაქი კეთილმოწყობილი კათედრებით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, რომლებზეც ჩვენ, თქვენს ალმზრდელებს, ოცნებაც კი არ შეგვეძლო.

—

აი, ასეთი ტრადიციების მიუხედავად, გვაქვს ნაკლოვანი მხარეებიც. აკადემიური წარმატების მაჩვენებელი — 97,3 პროცენტი — თითქოს არ არის ცუდი, მაგრამ ეს ძირითადად მოდის საშუალოსნების ხარჯზე; ფრიადოსანი და კარგოსანი მხოლოდ ათასი სტუდენტია. თქვენთვის ალბათ გასაგებია, რომ მათგან ვერ დადგებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ვერ გაამართლებენ იმ მოველოდნას, რაც მათ აკისრია.

რამ გამოიწვია ის, რომ ზოგი ჩვენი სტუდენტი ვერ ასწრებს პროგრამით გათვალისწინებული მასალის თვითსწავლას? ამის მიზეზია ის, რომ სტუდენტთა შორის არაიშვიათად ირღვევა შრომის დისციპლინა, ყველა ვერ ამყარებს შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, სამწუხაროა, რომ ჩვენ სტუდენტებში დაბალია შრომის კულტურა. ამიტომ ადრე გამოდიან წყობიდან ის აპარატურა-ხელსაწყოები რომლებითაც სტუდენტები მუშაობენ: პროფესორ-მასწავლებელთა ვალია გისწავლოთ და ვასწავლოთ სტუდენტებს სასწავლო ტექნიკის სწორი ექსპლოატაცია, ავამაღლოთ მათი სწავლების კულტურა.

ამას მივაღწევთ, თუ გავაერთიანებთ მომავალ სპეციალისტთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის პროცესს. ყველა ზომა ვიხმაროთ სტუდენტთა დასახმარებლად. მივცეთ ცოდნის მაქსიმუმი და პრინციპული ვიყოთ მის მოთხოვნაში. თუ კვლავ უშედეგო იქნება ჩვენი შრომა, სტუდენტი არ ისურვებს ასწიოს ეს ტვირთი, მან უნდა დატოვოს ჩვენი რიგები. გაიხსენეთ, მეგობრებო, კონკურსი მიღების დროს. ასეთი ბარიერი გადალახეთ, 3.505 კაცი უკან დაბრუნდა, თქვენ ჩაიბარეთ გამოცდები. ახლა შესაძლებელია ლაპარაკი იმაზე, ისწავლით თუ არა?

ჩვენს რიგებში არ უნდა ვითმენდეთ ისეთ ახალგაზრდას, რომელიც არღვევს ქცევის, ჩაცმისა და ვარცხნილობის ნორმებს. სწორედ აქედან იწყება დანაშაულიც.

ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა საერთო საცხოვრებლის მდგომარეობის საკითხი, გატარდა ღონისძიებები, ახლა გვაქვს სანიმუშო საერთო საცხოვრებელი. ვფიქრობთ, კიდევ ერთი საცხოვრებელი კორპუსი ავაგოთ 450 სტუდენტისათვის. ჩვენ მოგვანდეს სტუდენტთა აღზრდის კეთილშობილური მისია და იგი კიდეც უნდა შევასრულოთ. უნდა გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი კვება, მოვაწყოთ სპორტული გამაჯანსაღებელი მოედნები, სტუდენტთა გამაჯანსაღებელი ბანაკები და ეპოქის შესაფერისად მოვაწყოთ სტუდენტთა სწავლა და გონივრული დასვენება. სწორედ აქეთკენ მოგვიწოდებს პარტია.

ბიაბ, ჩვენ დიდი ტრადიციები გვაქვს და უნდა ვამრავლოთ ისეთ სტუდენტთა რიგები, რომლებიც საუკეთესოდ სწავლობენ და ამას კარგად უხამებენ საზოგადოებრივ საქმიანობას. უნდა ვეცადოთ, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება შეესაბამებოდეს მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას. ეს უნდა აისახოს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში. პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა შექმნან ორიგინალური სახელმძღვანელოები მშობლიურ ენაზე.

კადრების მომზადებაში დიდი ყურადღება უნდა მიეგქციოთ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ამაში წამყვანი როლი აკისრიათ საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრებს. მაშინ აღვზრდით ღირსეულ ცალს, რომელიც მოემსახურება კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს.

— ჩვენი ვალია, — ამბობს სამკურნალო ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **თ. თოხაძე** —სწავლითა და შრომით დიდი წვლილი შევიტანოთ სტუდენტთა პოლიტიკურ და იდეურ აღზრდაში. კომკავშირთან მჭიდრო კავშირში დაეხმაროთ ადმინისტრაციას, რომ მოვამზადოთ სტუდენტი პრაქტიკული შრომისათვის. ლ. ი. ბრეჟნევმა სტუდენტებს დიდი განაწესები დაუსახა — ისწავლონ და იშრომონ ლენინურად. დიდი ამოცანები გვაკისრია აკადემიური წარმატებისა და დისციპლინის გაძლიერებაში. ჩვენ ვეცდებით ავამაღლოთ ჯგუფზე მიმაგრებული მასწავლებელთა პასუხისმგებლობა აკადემიური წარმატებისათვის.

მეხუთე კურსის ფრიადოსანმა სტუდენტმა, საკავშირო შეკრების მონაწილემ **კ. დათეშიძემ** დამსწრეთ მოუთხრო იმ შთაბეჭდილებებზე, რომელიც მან მიიღო ამ დიდ ფორუმში მონაწილეობით.

კრებაზე გამოვიდა აკადემიკოსი **ა. ზურაბაშვილი.**

— ჩვენი ქვეყნის მომავალო თაობავ, — დაიწყო მხცოვანმა მეცნიერმა, — თქვენზე დიდ იმედებს ვამყარებთ, ჩვენი სურვილია დადგეთ განათლებული სპეციალისტები, იყოთ ბედნიერები. გახსოვდეთ, ბედნიერება მხოლოდ შრომით მოიპოვება. იშრომეთ და სიბერეში არასოდეს არ შეგაწუხებთ სინდისის ქენჯნის მტანჯველი გრძნობა უქმად გატარებული ახალგაზრდობისათვის. არც ერთი წუთი არ დაკარგოთ, მისი ანაზღაურება შეუძლებელია. მინდა გაგაფრთხილოთ, მეგობრებო. ეცადეთ არ შეცდეთ, ერთი პატარა შეცდომა საბედისწერო არ გახდეს თქვენთვის. გამოიძუშავეთ მტკიცე ნებისყოფა. თქვენ კი, ჩემო კოლეგებო, შოგმართავთ — საჭიროა ჯანმრთელი მაგალითი ახალგაზრდებისათვის, მაშინ მოგვბაძავენ ისინი.

მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული პირველი კურსის სტუდენტის **მ. ჭინჭარაულის** გამოსვლა. მე და ჩემს ორ ხევსურ ამხანაგს პარტიამ და მთავრობამ მოგვცეს საშუალება უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში გვესწავლა, გავხდით სტუდენტები და ვეცდებით დიდი ძაგი კარგი ყოფაქცევით, სწავლითა და შრომით გადავიხადოთ, ცოდნით აღჭურვილი დავუბრუნდეთ სამშობლო მხარეს, დავდგეთ მათი ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე.

დისციპლინა, ორგანიზებულობა, ბეჯითი შრომა—აი, რით მივაღწევთ წარმატებას, — ამბობს პედიატრიული ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, სტუდენტი **მ. გიორგობიანი.**

ჩვენი დრო მოითხოვს მეტად განათლებულ სპეციალისტებს, განაცხადა კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ, მესამე კურსის სტუდენტმა **გ. ბოჭორიშვილმა,** ამ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს საშუალო სპეციალისტი და მით უმეტეს საშუალო დონის ექიმი. ჩვენ მოფიქრებული გვაქვს მრავალი ღონისძიება, რომელთა განხორციელებით ეჭმედით დახმარებას გავუწევთ ჩვენს კომკავშირელებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას. ახლა ვაყალიბებთ კომკავშირული აქტივის სკოლას. მასში, განვაზოგადებთ და დავნერგავთ ცალკეული კომკავშირელების მუშაობის გამოცდილებას, სრულყოფთ კომკავშირული მუშაობის სტილს, მეთოდებს და ფორმებს. განვამტკიცებთ ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციების რიგებს.

დიდხანს გაგრძელდა სჯა-ბაასი, სტუდენტი-ახალგაზრდობა, პროფესორ-მასწავლებლები მადლობას უხდიდნენ პარტიასა და მთავრობას დიდი ზრუნვისათვის. ყველა გამოსვლას წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ შეეცდებიან კიდევ უფრო აამაღლონ სწავლების ხარისხის დონე, პირველ რიგში დააყენონ სტუდენტთა იდეური აღზრდა, გააუმჯობესონ სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობები, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ კადრების მომზადება შეესაბამებოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას.

ვზიავარ და ვისმენ ამ სიტყვებს. ვგრძნობ, რომ ინსტიტუტის ყველა ორგანიზაცია, კომუნისტები, პროფესორ-მასწავლებლები ერთი ფიქრით არიან გამსჭვალული — სტუდენტთა მერხიდან ჩამოყალიბდეს ახალგაზრდა სპეციალისტის პრაქტიკული მუშაობისა და მეცნიერული კვლევის ჩვევები. მაშინ მომზადდება დიდად ერუდირებული მკურნალი-სპეციალისტი, რომელიც მოემსახურება კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, იმათ, ვინც წარმატებით შრომობს სკკპ დიდ წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად.

ეთერ მამალაძე.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები. ფოტო ს. კილაძისა.

ოთარ იშხნელი.

მრისხანე ლეგიონი

ქართველ პარტიზანთა საბრძოლო ამბები საფრანგეთში

ჯათას ცხრაას ოცდაცხრამეტი წლის ოქტომბერია. უკვე ნოემბრად-ვოლინსკში ვარ.

მართალია, ცოტა საწყენია, მაგრამ, ალბათ მამულს ასე სჭირდება, არა ბავშვს რა, ყველაფერს მოვეკლებ.

საწყენი კი ის არის, რომ მხოლოდ ერთ თვეს ვსწავლობდი უმაღლესში. ახლა აქ ვარ, ათასობით კილომეტრი მამრეს დედულ-მამულს.

მოვალეობა იმიტომ, რომ ისე გაფრინდება ორი წელი, თითქოს გუშინ იყო.

მერე ისევ სწავლა, დაცოლშვილება, ბუშაობა.

არტილერისტი ვარ. ქვემეხებს ვსწავლობ. უკვე ვიცი დამიზნება, დატენვა, სროლა...

მერე ლვოვში გადაყვავართ, სამოსწავლო ბატარეაში. სარეზერვო მეთაურებად გვამზადებენ.

აქ უკვე ახლოს არის საზღვარი, ბოლონეთს ვესაზღვრებით, მაგრამ იგი ერმანიას უკავია. ვინაიცობაა რამე ხდება, გერმანელებს უნდა შეეჯახოთ. ისე რომ სიფხიზლე გვმართებს.

კიდევ კარგი, სადმე აღმოსავლეთით არ მოვხვდი! აქ, დასავლეთ საზღვართან, ორი სამყაროს გასაყართან, თითქოს უფრო იგრძნობა ადამიანური ჯარისკაცული აღტკინება, კადრის არმიის გმირული სული.

გადის ოცდაცხრამეტი.

მერე მთელი ნაწილი მივდივართ ფრანგეთის ფრონტზე. აქაც მხვდება პარტია „საწყენი“: ფრონტზე კი მოვვიანო, ორი-სამი კვირაც დავყავთო, მაგრამ ბრძოლა არ შეგვხვედრია — ბა გთავდა.

ისევ უკან ვბრუნდებით. ვამთავრებთ ომსწავლო ბატარიას და გვანაწილებენ ქ. ბრიდში. ეს უკვე თითქმის ბელგიარია — ცამეტი კილომეტრი ბელგიამდე მხოლოდ.

ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონში.

ეს მაბარია.

ასე გადის 1940 წელი.

კიდევ რამდენიმე თვე, და... ვაშაა!.. ბომბალიზაცია!..

ეოტას წვიეკიფიებ, მეგობრებს მონახულებ, გოგოებს გავიხსენებ და ისევ ინსტიტუტი. პირველად ალად გამიჭირდება, ორი თვის მასალა ალად უნდა გავიარო, მაგრამ ახლადთამავრებულებზე მაინც მაგარი ვიქნები და მოვასწრებ ყველაფერს — ბასწრებ... ზოგი რამ აქაურიც გამამდგება: მაინც ლითონთან და მოწყობილობასთან მაქვს საქმე.

მაგრამ...

მაგრამ ის, რომ ცამდე მართალია ბრთული ანდაზა, ყველა დროისათვის ამოსადეგი: კაცი ბეჭობდა და ღმერთი ეცინოდა.

რას იზამ!.. ბედს უნდა შეურიგდე: ბეს ზევით ძალა არ არის.

ოცდაორ ივნისს დილადრიანად ამოგვყარეს: ბრძანება მოსულიყო, ბასაზღვრო პოლკს დაეხმარეთო.

ერა საათზე წინა ხაზზე ვართ. ბრძოლაში ვებმებით, მაგრამ ვერ ვუმკლავდებით: ჭარბი ძალები გვიტევენ. ეგ ზურგი გვაქვს მაინცდამაინც ეცვიან — ზოგი ადგილობრივი ბინადრებიც ფანჯრებიდან ჩვენკენ ესროლენ. არის ღალატიც. საბჭოთა ბალიუფლება აქ ხომ ახალი დამყარებულია და ცოტა როდია მტერი!..

საარტილერიო დივიზიონის ამოცანა — პირველმა მიიღოს ბრძოლა, გაჯიგრებისას უკან დაიხიოს ცრუ მიმარულებით, რომ დარტყმა აეცილოს ეთოს ჯარს. ამიტომ, სადაც გაუჭირდებათ, იქით გადაგვიყვანენ ხოლმე.

გაფეთრებული ბრძოლებია. მტრს ბიდ ზიანს ვაყენებთ. მაგრამ ჩვენი ბანაკლისიც როდია მცირე.

ეტოვებთ ლვოვს. მერე — ტერნოპოლს, ნოვოგრად-ვოლინსკის, ჟიტომირს, ბელაია ცერკოვს, ჩერკასს, კრემენჩუგს, პოლტავას, ბოგოდუხოვს... ეს ქალაქები ერთ ხაზზე როდია და არც ასე ერთბაშად დაგვიტოვებია. ბევრგან ყოველი მტკვალი მიწისათვის იყო სისხლისმღვრელი ბრძოლები. სადაც მივწვდებოდით, მუსრს ვავლებდით მტერს, მაგრამ არც ჩვენ გვაყრდნენ კარგ დღეს. შევსება მოგვდიოდა, მაგრამ კადრის ხალხი ცოტაღა დავრჩით.

ბრანდიოზული ბრძოლები გაჩაღდა ხარკოვისათვის. მტერი მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ურიცხვი ჯარი მოაყარა... ოქტომბერში ქალაქი დაეცა. ბევრი საბჭოთა ნაწილი დატყვევებულ იქნა. მათ შორის აღმოჩნდა ჩემი ბატარიაც. სამ დღეს ვცდილობდით ბარემოცვის ბრძოლიან ბარღვეას, მაგრამ არ მოხერხდა.

და აი კაცი, რომელიც ვოცნებობდი ამ მშვენიერ ქალაქში სეირნობაზე, ტყვეთა ბანაკში ვარ. თანაც ფეხში დავიჭერი, მაგრამ ვერ ვამსელ: სუბტად არისო, ატყვიან და ტყვია რიდი დაენანებათ... სისხლი მოვიშინდე და პერანგის სახელოთი შევიხვიე.

თოვლსა და ყინვაში დასავლეთით მიგვერეკებიან. ფეხით მივლასლასებთ.

ფეხის ცერიდან სისხლი მდის, მაგრამ როგორ ჩამოვჩეჩნი!.. ვიცაც სიარული არ შეუძლია, ადგილზეკე ხვრეტენ.

ის კი არა, გერმანელი პირდაპირ ვარჯიშობს სროლაში: გუნებაში გადაითვლის ხუთს, ათს, თხუთმეტს და, ვინც ბოლო ციფრზე მოხვდება, ავტომატის ჯიგს უშენს. ესე იგი, აქ გადარჩენა მხოლოდ ბედის საქმეა და მეტი არაფერი.

ერთ ხუტორში ღამის გასათევად დავბანაკდით, თუ ამასაც დაბანაკება ჰქვია: სახლისა თუ ღობის ძირას გავერთხეთ თოვლში და მივიძინეთ.

მივიძინეთ-მეთქი, ვამბობ, მაგრამ რა დამაძინებს! თან ჭრილობა მწიწკნის, თან ერთი აზრი მიტრიალებს... შუაღამისას კუთხისაკენ გავიარე. რაღაც ღრიჭოდ დარჩენილი ფიცრებია, ხელს ვკიდებ — ინძრევა. ცალი მხარე ავწიე და ჩავიხედე: ჟაჟნეთი მიყურებს ხელრმდან — ალბათ სარდაფია. დიდი გზა გამოვიარეთ და ქანცგაწყვეტილი ბიჭები ძილად არიან ქცეული.

ბადრაგი უკრაინულ ხატასა და ღობეს შორის ბოლთას სცემს და სარეულში თბება. როცა იგი მოაჯირს მიეფარა, კიდევ უფრო აკვნე ფიცარი და ეცემ ჩავძვერი შიგ. სახურავი ისევ გავასწორე და სუნთქვაშეკვრით დავაყურადე: ხომ არავინ გიგოო?

გადის ერთი წუთი, ორი... ეგრმანელის ნაბიჯების ხმა ისმის... თუ მოვიდა და ფიცარი ახადა... სული მძერება, ვიდრე დავრწმუნდებოდე, შემრჩება თუ არა ქმედითობა... ისევ მოახლოვდა ნაბიჯები... ახდის ფიცარს და არც ამომიყვანს, აქვე დამახლის ტყვიას.

კიდევ გადის წუთი... ნაბიჯების ხმა თანდათან მშორდება, ესე იგი მცველი ისევ უკან გაბრუნდა. მაშასადამე, არაფერი გაუგია. ვაშაა!.. არის პირველი გამარჯვება!..

რაღაც ყუთები და ქოთნები მივწიმოვწიე და კუთხეში მივეგდე. ყოველ ღონეს ვხმარობ, რომ არ დამეძინოს: როგორც კი წამთვლემს, ჭრილობის ვაღიზიანებ. მინდა მალე გათენდეს, რომ ტყვეები წაიყვანონ და მე დავრჩე... არც სიები აქვთ, არც ვკარი იციან, არც სახელი. თვლით ჭაკვთ ჩაბარებული, იქნებ თვლაც შეეშალოთ და... ბარემ მალე გათენდეს, რომ გავიგო, გადავრჩი თუ არა!..

ვიღაცამ ჩაახვალა. სადღაც ღობის სარიც მოტყდა... ტანში ჭიანჭველებმა დამიარა... ნეტა მალე გათენდებოდეს, ნეტა მალე!..

დედ-მამას თუ სძინავს ახლა?.. რომ იცოდნენ, რა დღეში ვარ, რა დაადინებთ!.. სახლიკაციც, გოგი, ალბათ ფრონტზეა... თანაკლასელებიც ფრონტზე იქნებიან. ჯერ კიდევ ომამდე იყო ჯარში უმრავლესობა. ბევრი მათგანი დასავლეთის საზღვარს იცავდა და ახლა ალბათ ზოგი ჩემს დღეშია... ბევრი იქნებ აღარც არის ცოცხალი!.. ნეტა გოგოები სად არიან?.. ელიკო, შუშანა, თინა... ზოგი შეიძლება ფრონტზეა... ნეტა მალე გათენდებოდეს, ნეტა მალე!..

გვერდი მტკივა, კომბალიზით რაღაც მიდგეს ქვეშ და ვერ გამომიღია; გადაბრუნების შეშინია — არაფერი გახმაურდეს და არ მომაგნონ...

ღრეჩოში ნელა ჩამოიპარა შუქი. თენდება. მალე წამოგრიან ტყვეებს, დაუწყობენ, დაითვლიან და, თუ დაკლდათ, აკაობას გადაკოთებენ. მომაგნებენ, ნამდვილად მომაგნებენ ეს ღმერთძაღლები!.. არც ამომიყვანენ მაღლა, წიწილივით მომაკლავენ ყუთებზე...

მაგრამ ნუ იტყვით, სასწაული არ ხდებაო, ხდება, როგორ არა!.. თუმცა აქ „სასწაული“ უფრო „შემოხვევითობას“ ნიშნავს. აი ესეც: გამთენიას ყაყანით წამოყარეს ტყვეები, ისე გარეკეს ეზოებიდან, ალბათ წესიერად არც დაუთვლიათ...

ხმა რომ მიწყნარდა, გული ოდნავ ჩადგა საგულეს. გვერდი კი ვიბრუნე, მაგრამ მაღლა მაინც ვერ ამოვდივარ. რა ვიცი, რა მდგომარეობაა სოფელში; იქნებ გერმანელები არიან, შეიძლება რომელიმე გლეხმაც გამიეს. ვინ იცის!.. სჯობს დაღამებამდე ვიყო, თუ არავინ ჩამოვიდა სარდაფში. მერე ამოვალ და გავეფდები ბუნას.

თვალი მაინც არ მომიხუჭავს, ისე დავაღამე თეთრად. საინტერესოა, გაჭრის თუ არა ხერხი.

გაჭრა, გაჭრა!.. მაგრამ ახლა საით წავიდე? რა ვიცი, უნდა ვიარო კი... დღისით ტყეში ვიმალები, ღამით მივდივარ. მესამე ღამეს მიეუახლოვდი ქ. ბოგოდუხოვს. გამეხარდა — აქ ნაცნობი მოხუცები მყავდნენ და მათთან მოსულიერება შეიძლებოდა. მაგრამ ისინი ქალაქის მეორე ნაპირას ცხოვრობენ და როგორ გინდა იქამდე მიაღწიო? ქალაქში გერმანელები დაძრწიან, დაგიჭერენ და ისევ ჩაგსვამენ.

ღამით შემოვუარე ქალაქს და მეორე ბოლოში ძლივს მივაგენი სახლს. კარზე მორიდებით დავაკაკუნე, რომ მეზობლები არ გამეღვიძებინა.

არ მიღებენ: ვინა ხარ, საიდან ხარ, მეკითხებიან. როგორც იქნა, გავაგებინე.

გულისფანცქალით გამიღეს. თან გაუკვირდათ, თან გიხარდათ, თან ცივმა ოფლმა დაასხათ. გერმანელებმა რომ ჩემი აქ ყოფნა გიიგონ, სახლსაც გადაწვავენ, მოხუცებსაც გაწყვიტენ.

გამხდარი, შმაირ-მწყურვალი, ჩამოსულა-ჩამოტრეტილი შავწვერისანი ძნელი საცნობი ვიყავი.

მაჭამეს, მასვეს, გამპარსეს, რაღაც ტანსაცმელი მომარგეს და ცოტა ამოვისუნთქე.

გურამიშვილი მომაგონდა:

როგორც რომ ერთმა ყაზახმან
მე მაშინ მომიაროო,
როცა რომ მყვანდა, მივლიდა
მეტს მამაჩემი არაო...

იმ მოხუცთა ამაგს რა დამავიწყებს, თუმცა აღარც სახელი მახსოვს, აღარც — გვარი. დაე ისინი უბრალოდ რუსები ან უკრაინელები იყოს!

გარეთ ვერ გავდივარ. მეზობლებს ვერ ვენახვები, დაბეზღების მეშინია, მოხუცები მეცოდებიან. ამდენი პატივი დამდეს და, რომ ჩემ ბამო გაუჭირდეთ რამე, თავი მექნება მოსაკლავი. ამიტომ არ შეიძლება დიდხანს დავრჩე. ღღეს არა, ხვალ უნდა გავეცალო აქაურობას.

მაგრამ როგორ?

გერმანელებმა რომ მომასწრონ საღამე, ან ისევ ბანაკში მიკრავენ თავს, ან სიციცხლის გამომასალმებენ.

სულ შიშში ვარ, აბა, ახლა მომაგნებენ-მეთქი, აბა, ახლა. მოხუცებიც დავტანჯე — არც ღამე აქვთ მოსვენება, „არც — დღე.

ამ წრიალში გავიდა ერთი თვე. მერე როგორღაც მოვიფიქრეთ.

ქალაქის გარშემო საკოლმეურნეო ყანებია. მტერი რომ შემოჭრილა, კარტოფილი აუღებიელ `დარჩენიათ. ახლა, შამთარში, მოსახლეობას ნიბას აძლევენ ამოსახოროს და შინ მიიტანოს.

დროგში შევაბით ცხენი, ტომრები და კალათები დავაწყვეთ და წავედით კარტოფილის ამოსაღებად.

მივდივართ თოვლიან ჭუჩაში და ასე გვგონია ყველა ჩვენ გვიყურებს. სად გერმანელს მოვკრავთ თვალს, სად უკრაინელი პოლიციელი ჩაგვიქროლებს მოტოციკლით... მაგარი ნერვები გინდა, რომ მათ დანახვაზე უკურთხა, სად არის მეორმოცეო (ესე იგი გაპარულა).

რატომღაც მუხლებში სისუსტეს ვგრძნობ, ნაბიჯს მაინც ვუჩქარებ.

— ჰაეტ! — მომესმა უკანდან, მაგრამ არ მიმიხედავს, — მეშინია, მე არ მეძახოდეს.

— შენ, ეი, მობრუნდი! — ახლა უფრო ხმამაღალი მოისმა და თოფიც გავარდა (ალბათ შესაშინებლად მესროლა). მაშასადამე, უნდა მივიხედო, მეტი გზა არ არის.

მივიხედე თუ არა, მაშინვე მიყვირა:

— მოდი აქ!

— ბატონო, მე ერთი საწყალი გლეხი ვარ, ჩემთან რა გინდათ? — —დაიწყეთ განმარტება, მაგრამ გაგიგონია?

— დადექი! — მიბრძანა და მწყობრზე მიმითითა.

— რატომ?!

— დადექი! — და ავტომატი მოგიღირა.

მეც დავდექი მწყობრში მეორმოცე კაცად და ბანაკში გავყვავი.

ესეც ბედი!..

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გქონია!
ყოველი შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად
ალუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა.

ერთხელაც იყო და — რიგმა მოგიწია, კრემენჩუგში მოვხვდი.

ვმუშაობ, მაგრამ ტკენში სულ ჩანაფიქრი მიტრიალებს. თითქმის მეიწურება დღე, მე კი ვერაფერი მოგიხერხებია. ხელსაყრელ მომენტს ვუცდი. არა და არ ჩანს ასეთი მომენტი. დაეიღუპე და იგ არის! თუ ახლა ბედმა მიმუხთლა, მეორედ შეიძლება აღარც მოგიწიოს წამოსვლამ. არადა ცოცხლად დალპები ამ ჯოჯოხეთში!..

რა ვქნა. რა გზას დავადგე?

მოვიისაზრე! მოვიისაზრე!..

ყინვა უჭირს. ალბათ ამიტომ არის, რომ მცველი უბრუნებოდ დაბანჯებს. შეიძლება დაიღალა?

ვაგონიდან ჩამოვდივარ. ხვიფეი გადამდის. წაქცევაზე ვარ. იქნებ ამ ურჯულოს თავი შევაცოდო?

გერმანელს მივუახლოვდი. ცოტა იქით გავიხედ-მეთქი, ვთხოვე, კარგიო, დამეთანხმა.

საბარგო მატარებელი მანვერირებას აკეთებს. ოც ნაბიჯზე რომ გავედი და ბადრაგი თვალს მიეფარა, მატარებელს შევახტი და კარგა მანძილზე გავედი. როცა გაჩერდა, ჩამოვხტი და მოკურცხლე, მაგრამ რა მოკურცხლე!.. თუმცა სულ სირბილიც არ შეიძლება: მიხედრებიან, გამოქცეულაო, და ვინმე დამიჭერს. სამშვიდობოზე რომ გავედი, მუხლებს ქარი ამოვლიბნე და გეგმები დავაწყე: ფრონტამდე ალბათ შორია და ვერ მივალ; როგორმე პარტიზანებს უნდა შევეერიდე.

ორმოცდაორის გაზაფხულია. ხანდახან დღისით მზე გამოაჭაყიტ ხოლმე და თოვლი დნება. ღამღამობით ისევ ყინვა უჭერს. გარეთ დიდ ხანს ვერ გაძლებ. არც არავის ვიცნობ, რომ ცოტა ხანს მაინც შემიფაროს და გზა მასწავლოს. მაინც ვახერხებ შეხვედე ცალკეულ კაცსა თუ ქალს და პური ვთხოვო, რომ თავი გავიტანო.

ჭიათურაში მეზობლის ვაშლი არ ბომიწყვეტია არც ნებართვითა და არც უნებართვოდ. ახლა ათას ჭირს მოვჭამ, ვინც საგზალს მიწილადებს. თუმცა ხშირად არც ჭირის მოჭმაა საჭირო: რუსები და უკრაინელები კეთილი ხალხია და, თუკი ვინმეს ხელს შეხვედრას ვახერხებ, თხოვნა არ უნდათ, ხვდებიან, რომ გამოქცეული ვარ, და საჭმელს მაწვდიან.

ქართული ზღაპარი მაგონდება...

ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, ერთ ხიდს მივადექი. ვიეი, რომ ხიდი საშინია, შეიძლება ჯინმეს გადავაწყდე, მაგრამ სხვა გამოსავალი ვერ ვნახე და რა მექნა!

მივადექი და — მტრისას!..

ხიდს რუმინელები იცავენ. ვინა ხარ, საიდან ხარ, დამიწყეს გამოკითხვა. რაღაცას მივიდ-მოვიდეი. შეგისაყეს, რომ ადგილობრივი არ ვიყავი, და დამაკავეს.

სამოქალაქო ტანსაცმელი კი მაცვია, მაგრამ თოფიც დაამტკიეეს, რომ ტყვე ან პარტიზანი არა ხარ? სოფელს დაასახელებ, მეზობლს მოიყვან მოწმედ, საბუთს წარადგენ, რომ აქაური ხარ, თუ რა? ახალგაზრდა ხარ, მაშასადამე, შენი არაფერი სჯერათ: ან ჯარისკაცი იქნები, ან პარტიზანი. სჯობს გაჩუმდე და ბედს შეურიგდე.

მეტი რა ძალა! ვდეკ ვჩუმდები. ჩამოიარა რაღაც მანქანამ, დამსვეს და ქ. ხოროლის საკონცენტრაციო ბანაკში მიკ

ხელოვნების ამბები

თეატრის სეზონის გახსნა

თელავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სარაიონთაშორისო დრამატულ თეატრში გაიხსნა ახალი სეზონი. ნაჩვენები იქნა შ. ცვაიგის დრამა „სახლი ზღვის პირას“.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ნ. დეისაძე, მხატვრობა ეკუთვნის ვ. დონდოლაძეს. სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. ბურბუთაშვილი, პ. ახვლედიანი, გ. პაპოშვილი, ბ. მარტიაშვილი, გ. მამუჩიშვილი, ვ. მარკოზაშვილი, მსახიობები ა. ნანობაშვილი, ო. აღნიაშვილი, ნ. არავიაშვილი და შ. ბეჟანიშვილი.

პირველად საინგილოში

კარგაბანი, რაც კახის ნიზამის სახელობის ქართული კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მოქმედი კულტსახლის (გამგე ს. საგინლაშვილი) კოლექტივი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, მაგრამ კახის ქართული სასოფლო კულტსახლის სცენაზე ბავშვთა გულის გასახარებლად დადგმული თეჯირი ჯერ არავის უნახავს. პირველობა ამ კეთილშობილ თაოსნობაში ეკუთვნის თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის თოჯინების განყოფილების დიპლომანტს ი. ზეინალაშვილს. დიპლომანტმა თავის მშობლიურ კუთხეში, კახის ქართული სკოლების მოსწავლეთა ძალებით, ჩამოაყალიბა თვითმოქმედი წრე და ბავშვებს უჩვენა ე. ჩერნიაკისა და ე. გოლდის „იესა—ზღაპარი „გიული და თაზოლანი“.

ნორჩი მაყურებლები სიხარულით შეხვდნენ კეთილი გიულის (მ. მურათხანაშვილი), გულმართალი თაზოლინის (რ. ბაბაჯანაშვილი) და ზღაპრული ჩიტის (მ. ფოლადაშვილი) გამარჯვებას ბოროტ ბურხანზე (ნ. ბაბუცაშვილი).

ახალბედა კოლექტივის მონდომებულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. მოსწავლეები თოჯინების ტარების რთული ხელოვნების საწყისებს ძირითადად დაეუფლნენ და ზოგიმე ორი თოჯინის მატარებლობა წარმატებით აითვისა (ე. ფოლადაშვილი).

თბილისის თოჯინების თეატრის დირექციამ (დირექტორი თ. ჯანელიძე) კახის კულტსახლს უსასყიდლოდ გადასცა თავის სცენაზე დადგმული სპექტაკლის სრული აღჭურვილობა და შეფობა აიღო საინგილოში ჩამოყალიბებულ ნორჩ მეთოჯინეთა კოლექტივზე.

მ. გიჟიმყრელი.

პრემიერა

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატულ თეატრში მაყურებელმა ნახა პრემიერა — ლ. ქიაჩელის რომანის „სისხლის“ ინსცენირება. სპექტაკლის ავტორია რეჟისორი შ. ჩერქეზიშვილი. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ასკურავას.

ი. ბერულავა.

ბუნების საოცრებანი

გოლიათი შავთითა



სურათებზე: გოლიათი შავთითას ნაყოფი და ძირი, რომელიც თითქმის ადამიანის სიმსხოა.

ფოტო პ. ავტორისა.

დიდი ტანის ხანდაზმული ვაზები არც თუ ისე ბევრია. ისინი ერთეული ძირების სახით არიან შემორჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მათი ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის შესწავლა საინტერესოა როგორც ბიოლოგიური, ისე სამეურნეო თვალსაზრისით.

მაღლარების სახით აქა-იქ გადარჩენილი გოლიათი ვაზების ბოტანიკური აღწერა და მათ შესახებ ზოგადი ხასიათის სხვადასხვა მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობა, გავარკვიოთ, თუ რამდენ წელს ცოცხლობს კულტურული ვაზი და ასაკის მიხედვით როგორ იცვლება მისი მოსავლიანობა ზრდისა და მოვლა-პატრონობის შესაბამისად.

ზემოთ თქმულს გარდა, ძველი ვაზების შესწავლა სხვა მხრივაც არის საყურადღებო. სადღეისოდ ზოგიერთი ჩვენი აბორიგენული ჯიში, სამწუხაროდ, მხოლოდ ასეთი ერთეული ძირების სახითღა წარმოდგენილი. რომელ ჩვენგანს არ ეამაყება, რომ საქართველოში ხალხური სელექციის მეთოდების გონივრული გამოყენებით შექმნილია ხუთასამდე მაღალი სამეურნეო თვისებების მქონე ვაზის ჯიში.

ძველთა ვაზის ჯიში ხევარდული ფართოდ ყოფილა გავრცელებული შავშეთ-კლარჯეთში. სადღეისოდ იგი საქართველოს ტერიტორიაზე აღარსად გვხვდება, უფეტიურად დაკარგული. მეტად მცირე წერილობითი ცნობების მიხედვით იგი საკმაოდ მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე ვაზის ჯიში.

ერთი ვაზიდან — 600 კილოგრამი ყურძენი

ძველთა ვაზის ჯიში ხევარდული ფართოდ ყოფილა გავრცელებული შავშეთ-კლარჯეთში. სადღეისოდ იგი საქართველოს ტერიტორიაზე აღარსად გვხვდება, უფეტიურად დაკარგული. მეტად მცირე წერილობითი ცნობების მიხედვით იგი საკმაოდ მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე სუფრის ყურძენს იძლეოდა. ყოფილა ყვითელიც და თეთრიც. ჯიში ფრიად საყურადღებოა აგრეთვე სახელწოდების მიხედვით.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი ლინგვისტიკური ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე ხევარდულს, ძელშავსა და ხემხუს ანუ ხიხვს უძვლეს ვაზის ჯიშებად თვლის და სინანულს გამოთქვამს, რომ ხევარდული ნიკო მარის შრომებს გარდა არსად არ არის აღწერილი.

ვსარგებლობთ რა შემთხვევით, ვთხოვთ პატივცემულ მკითხველს, თუ სადმე რაიმე ცნობა არსებობს ხევარდულზე, აცნობოს „კომუნისტის“ რედაქციას ან ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს.

საგარეჯოს რაიონის ცენტრში იოსებ მაკანტალაშვილის ეზოში დიდი მუხის ძირივით შტამბგამსხვილებული ვაზი შავთითაა. იგი ხასიათდება მეტად ღონიერი ზრდით, ივითარებს საკმაოდ დიდი ზომის მტევნებს, რომელთა საშუალო წონა 700-800 გრამია. კვების განსაკუთრებულ პირობებში მოქცეული მტევნების წონა კი ზოგჯერ 2 კილოგრამს აღწევს. მსხმოიარობის კოეფიციენტი დაბალი აქვს, რქის პროდუქტიულობა კი მაღალი, რაც გამოწვეულია მტევნის სიდიდით. ნაყოფი საკმაოდ ხორციანია, მარცვალი მსხვილი, მოგრძო, ოვალური ფორმისა, თავისი შედგენილობითა და გარეგნული ნიშნებით საუკეთესო ხარისხის სუფრის ყურძენს იძლევა.

შავთითა საადრეო ჯიშია. აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში აგვისტოს ბოლო რიცხვებისათვის ყურძენი უკვე დამწიფებულია.

ჯიში საკმაოდ გამძლეა სოკოვანი ავადმყოფობებისა და მავნებლების მიმართ. ხევნის წესით გაფორმებული ვაზები მაღალ მოსავალს იძლევა საკარმიდამო ნაკვეთებზე. ამ მიმართულებით მისი გავრცელება პერსპექტიულია, საჭიროებს შედარებით გრძელ სხვლას.

შავთითას ერთ-ერთი სპეციფიკური თვისებაა ის, რომ მისი ზრდის სიძლიერე არ შეესაბამება მოსავლიანი ყლორტების რაოდენობას. სანაყოფეზე განვითარებული ყლორტების მნიშვნელოვანი ნაწილი უმოსავლოა.

ვაზის ზემოთ აღწერილი აგროგიოლოგიური თავისებურებანი კარგად შეუსწავლია 80 წელს მიტანებულ იოსებს და თავისი ხეივნის მოვლა ისე წარუმართავს, რომ ფართობის ერთეულზე საოცრად დიდ მოსავალს იღებს. იგი ამ ერთი ძირი ვაზიდან ყოველწლიურად 500-600 კილოგრამ ყურძენს კრეფს. ყველაზე დიდი მოსავალი 1955 წელს მიიღო, მაშინ ამ ერთი ძირიდან 700 კილოგრამი ყურძენი მოკრიფა.

ვაზი დარგულია 1938 წელს. ახლა იგი 33 წლისაა. მიუხედავად ასეთი მცირე ასაკისა, მისი შტამბის სიმსხო მეტად დიდია. ნიადაგის ზედაპირთან შტამბის გარშემოწერილობა 98 სანტიმეტრს შეადგენს, შუა ნაწილში — 76 სანტიმეტრს, ხოლო განტოტვის ადგილას 68 სანტიმეტრია.

ხეივნის ჰორიზონტალურად განვითარებული ტოტები ფარავს 100 კვადრატულ მეტრ ფართობს, ზოგიერთი ტოტი ისეთი მძლავრი ზრდისაა, რომ მისი დიამეტრი შტამბის ნახევარს აღემატება.

ხეივნის მრავალწლიან და ერთწლიან ნაწილებზე დიდი რაოდენობით ვითარდება ჰაეროვანი ფესვები, რომელთა ინტენსიური გამოსვლა ყურძნის შეთვალების პერიოდს ემთხვევა.

შავთითას ხეივანზე შაქრის დასაგროვებლად კარგად არის გამოვლინებული განათების ინტენსივობის გავლენა. ვაზის ერთი ნაწილი მოკლებულია სრული განათების პირობებს, ჩრდილშია მოქცეული და ამ ზონაში განვითარებული მტევნები 20-25 დღით გვიან მწიფდება.

გოლიათ შავთითასი და სხვა მსგავსი მაგალითები იმაზე მეტყველებენ, რომ ვაზი ბუნებრივად ძლიერი ზრდის მცენარეა. ნიადაგის მაღალნაყოფიერებისა და სათანადო ეკოლოგიურ პირობებში, ხეივნის წესით ფორმირების შემთხვევაში კვების პირობების გაუმჯობესებით იგი ზოგჯერ უზვეულო სიდიდეს აღწევს და სანიმუშო მოსავალს იძლევა. საკარმიდამო ნაკვეთებსა და საცხოვრებელი სახლის ეზოებში ასეთი ვაზების გაზრდა სასარგებლოა.

ა. მათიაშვილი,
მეგობლეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

თბილისი. ნოემბერი. ფოთოლცვენა.

ფოტოეტიუდი ა. კაპკასიძისა.

სპორტი

გაცილება

რაოდენ სასიამოვნოა, როდესაც წლების მანძილზე ეჩვევი და ტკბები საფეხბურთო მოედნის ვირტუოზის უზადო ოსტატობით, მომხიბლავი კომბინაციებით, ეფექტური გოლით. და რაოდენ დასანანია, როდესაც მას აცილებ დიდი ფეხბურთიდან. დიახ, ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი თბილისის „დინამოსათვის“ ასევე უკანასკნელი იყო მისი ყოფილი კაპიტნის, ფეხბურთის ჯადოქრის — სლავა მეტრეველისათვის.

ასეთები მართლაც რომ ცოტანი არიან. აბა გადავავლოთ თვალი გასულილ წლებს, ჩემპიონატებს, მატჩებს. მიდიოდით სტადიონზე და მოდამ მიგიხაროდათ, გჯეროდათ მათი.

თუ ტალანტს თან ახლავს თავმდაბლობა, უბრალოება, იგი თქვენს თვალში კიდევ უფრო იზრდება, როგორც ადამიანი, მოკალაქე. მეტრეველი ნამდვილი ტალანტი იყო. სლავას ძალზე უჭირს ლაპარაკი საკუთარ თავზე, სამაგიროდ სხვებზე, მათს წარმატებებზე სიამოვნებით მოგიყვებათ.

ბევრჯერ შევხვედრივართ მეტრეველს როგორც საბჭოთა ნაკრების, ისე მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შემადგენლობებში საპასუხისმგებლო მატჩების წინ, მუდამ მშვიდს, წიგნით ხელში, თავჩაქინდრულს. მაგრამ ეს უწყინარი ადამიანი უნდა გენახათ, თუ როგორ იფეთქებდა საფეხბურთო მოედანზე, მეტოქის კარის მისადგომებთან ცეცხლსა და მერე როგორ ცეცხლს დაანთებდა. სლავა მეტრეველი ყოველი მოწინააღმდეგისათვის, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იქნებოდა იგი თუ შინ, ყოველთვის ნომერ პირველ პრობლემად რჩებოდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ იგი არაერთხელ დაუსახელებიათ როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში.

ს. მეტრეველის საფეხბურთო ბიოგრაფია სპორტული შარავანდედით არის მოსილი. ბავშვობის წლებიდან შეიყვარა მან სპორტის ეს სახეობა. მისი კარიერა სოფის „სპარტაკში“ დაიწყო, შემდეგ კი გორკის „ტორპედოში“. ყველაზე ნაყოფიერ წლებად სლავას მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ რიგებში ყოფნა მიჩნია.

21 წელი საფეხბურთო მოედანზე ცოტა როდია. ჩვენი ქვეყნის პირველობის ორ-ორი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი, ევროპის ჩემპიონატის ოქრო და ვერცხლი, მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა და ვინ მოთვლის რამდენი წარმატებანი და სპეციალური პრიზები... ასეთი იყო სლავა მეტრეველი საფეხბურთო მოედანზე. კიდევ უფრო დიდად გვესახება იგი დღეს, როგორც ვეტერანი ფეხბურთელი.

სპორტის თაყვანისმცემლებს უსაზღვროდ უყვართ თავიანთი გმირი. ამიტომაც ჭეშმარიტად ასეთივე სიყვარულით გააცილეს მათ დიდი ფეხბურთიდან სლავა მეტრეველი.

ვ. გაბელია.

სურათზე: დინამოელები აცილებენ ს. მეტრეველს.

ფოტო მ. ზარბარიანისა.

უკანასკნელი ტურის წინ

მრეშვანში ფინიში აქვს ტრადიციულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს შორის. უკვე გათამაშდა ხუთი ტური. 12 ქულის სხვაობით წინ არიან საბჭოთა მოჭადრაკეები.

მეხუთე ტურის შედეგი იყო 4:2 ჩვენი ნაკრების სასარგებლოდ, სამი პარტია დაუმთავრებელი დარჩა. გიპსლისი აღმავლობით იბრძოდა მარიჩის წინააღმდეგ და მორიგი გამარჯვება იზეიმა. წარმატება ხვდა ავრეთვე ბელიაევსკის. მან დამარცხა მარიანოვიჩი. აღსანიშნავია, რომ ორივე იუგოსლავმა მოჭადრაკემ უარეს მდგომარეობაში მისაფიქრებელ დროს გადაადგილა და ორივემ 34-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

ვაგანიან-ბუკიჩის, კუზმინ-მატანოვიჩის, კაპენგუტ-მინიჩისა და ა. პეტროსიან-ბარლეს პარტიებში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. შტეინ-პარრას, კორჩნოი-ივკოვისა და რომანიშინ-რადულოვიჩის პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

ხუთი ტურის შემდეგ მატჩის ანგარიშია 23,5:11,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. ათი პარტია გადადებულია, გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, ღღეს კი შედგება უკანასკნელი ტური.

„კაირატს“ — რკინიგზელთა თასი

დამთავრდა რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. გადამწყვეტი შეხვედრები ჰქონდათ ბუქარესტის „რაპიდსა“ და ალმა-ატის „კაირატს“. მეტოქეთა პირველი მატჩი ბუქარესტში დამთავრდა ფრედ — 1:1, მეორე შეხვედრა კი მოეწყო 12 ნოემბერს ალმა-ატაში და დამთავრდა „კაირატის“ გამარჯვებით 1:0. ეს ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის მიწურულში გაუტანა როეკოგმა.

ამრიგად, ალმა-ატის „კაირატმა“ მოიპოვა რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის თასი.

ხუთი რეკორდი

პარიზში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი წყალქვეშა ცურვაში. ეს შეჯიბრება რიცხვით მერვე იყო. მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ბელგიის, ესპანეთის, იტალიის, შვეიცის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო წარმომადგენლები. წყალქვეშა ცურვის ჩაროსნულ სახეობებში დამყარებულ იქნა 5 მსოფლიო რეკორდი და ხუთივეს ავტორები საბჭოთა სპორტსმენები იყვნენ.

ჩემპიონატი ჰავანაში

ორი დღეა კუბის დედაქალაქ ჰავანაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი მსაჭვრეულ ტანვარჯიშში. ძირითადი ბრძოლა პირველობისათვის ჯერჯერობით ბულგარეთისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა შორის მიმდინარეობს. ლინგრეთ საგალდებულო და რეოლებით ნებისმიერი ვარჯიშების ჩემდეგ დაწინაურდა ბულგარეთის წარმომადგენელი მ. გიგოვა, რომელიც უახლოეს მეტოქეს მსოფლიოს ექსჩემპიონს მოსკოველ ე. კარპუხინას თხუთმეტი მეასედი ქულით უსწრებს. მესამე ადგილზეა სვერდლოვსკელი ა. ნაზმუტდინოვა. ჩვენი გუნდის მესამე წარმომადგენელი — ომსკელი გ. შუგუროვა მეექვსე ადგილზეა.

ნაკრებს — ბუქარესტელ „ტორპედოსთან“

**ბუქარესტ-ბუდაპეშტ-ბუქარესტ-ბუდაპეშტ-ბუქარესტ-ბუდაპეშტ-